

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციასთან” შეერთების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციასთან” შეერთების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება - ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

” 1. საქართველო შეუერთდეს „სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციას”;

2. კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოსათვის კონვენციის პირობები გამოიყენება გაეროს შემდეგი სპეციალიზებული სააგენტოების მიმართ:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO);
- გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO);
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO); მსოფლიო ბანკის ჯგუფი (World Bank Group);
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD);
- განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA);
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC);
- მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიის სააგენტო (MIGA);
- საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID);
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF);

- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO);
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO);
- ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო გაერთიანება (ITU);
- საერთაშორისო საფოსტო კავშირი (UPU);
- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO);
- მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (WIPO);
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD);
- გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO);
- გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO). ””

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე**

ნინო ბურჯანაძე